აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

,,საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის №54-IIს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ,,საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის №54-IIს დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 17.06.2022, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 020090000.31.056.016067) დამტკიცებულ „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პირობები“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის

ა) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-16 მუხლით განსაზღვრული ოლქის დელეგატის წარმომადგენლის სამსახურებრივი განთავსების ადგილის მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი (განახლდება ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);“;

ბ) „ჯ.ბ“ და „ჯ.ზ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამ წესის მე-4 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ვ“, „მ“, „ზ.ბ“, „ს“, „ტ“, „ჭ.ა“, „ჭ.გ“, „ჭ.დ“, „ჭ.ე“, „ჭ.ვ“, „ჭ.ი“, „ჭ.ლ“, „ხ“, „ჯ“, „ჰ“, „ჰ^{1}“, „ჰ^{2}.ა“ და „ჰ^{3}.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის – საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი;“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ბათუმი,

19 დეკემბერი 2024 წ.

N15-IIს